ნანატრი თასი თბილისშია
რეპორტაჟი თბილისის აეროპორტიდან

16 მაისი დაიწყო, ღამის 2 საათია!

თეთრ-ცისფერმა ლაინერმა თბილისის თავზე რკალი მოხაზა, ჩრდილოეთისკენ მიშვერილი კიჩო მკვეთრად დახარა და...

ეკიპაჟის მეთაურმა, სადისპეტჩეროს ჩვეული სიდინჯით გადასცა - ფრენა დასრულდა, ვეშვებით!...

ილუმინატორებიდან ხელისგულივით მოჩანს წყვდიადიდან ამოცურებული განათებული აეროპორტის ძველი და ახალი შენობები.

ექვსი, ხუთი... სამი... ერთი... ბორბლები ბეტონის მკვრივ საფარს შეეხო...

- გილოცავთ დაშვებას! - გაისმის ეთერში.

- მოგვაქვს, თასი მოგვაქვს! აბა თქვენ იცით, მანდ ღირსეულად დაგვხვდით! - პასუხობს ეკიპაჟის მეთაური...

აქ კი... ლოდინით დაილია მთელი საქართველო. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვებით გამოწვეული დიდი ზეიმი 14 მაისს გვიან ღამით დაიწყო და აგერ მეორე დღე-ღამეა გრძელდება.

ამის შესახებ ყურმოკვრით იციან გუნდის წევრებმა... იციან და ცდილობენ გონების თვალით წარმოიდგინონ ყოველივე...

...დასრულდა თუ არა მატჩი, მთელი საქართველო ტელეეკრანს მოსწყდა, გულშემატკივართა გულებში დაგუბებულმა ზღვა სიხარულმა გზა ჰპოვა - "დინამო"! "დინამო"! "დინამო"! - ძახილით, გუგუნით, გრგვინვით, გრუხუნით მოვარდა ზღვა სიხარული, პროსპექტებს, ორღობეებს, ქუჩებს მოედო...

14 მაისის ღამეს დატრიალებულმა სიხარულის ქარიშხალმა საქართველოს შემოუქროლა და 16 მაისს თბილისის აეროპორტს ეწვია...

თვითმფრინავის ჩამოფრენამდე ჯერ კიდევ 3 საათი იყო დარჩენილი, როცა მეტრო "სამგორიდან" აეროპორტამდე მანქანების მჭიდრო რიგებში ველოსიპედისტიც ვერ გაეტეოდა. სამიოდე კილომეტრის გავლა ფეხით მოგვიხდა, ასე მიუყვებოდა აეროპორტისაკენ გზას "დინამოს" ათასობით გულშემატკივარი...

...ლაინერი შეჩერდა. ახლა დროა ტრაპები მიადგან, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ეს არ ხერხდება. ბოლოს, გულშმატკივრებმაც გზა მისცეს და, როგორც იქნა, ეშველა ტრაპებს...

გაიღო თუ არა თვითმფრინავის კარი, ყოველი მხრიდან მძლავრი, პროჟექტორები მიანათეს ლაინერს, ხალხი იმ კიბეს მიაწყდა, საიდანაც ეს-ესაა უნდა ჩამოაბრძანონ თასი...

- წუთნახევარი პაუზა... სიჩუმე...

და აი, კარის ოვალური ჩარჩოს მიღმა რაღაცამ გაიბრჭყვიალა, რუხი ფერის ბინდიდან პროჟექტორების კაშკაშა შუქზე კალმახივით ამოფრთხიალდა ბრჭყვიალა, თვალისმომჭრელი ნანატრი თასი.

დიუსელდორფიდან თბილისში ჩამოტანილი თასთა თასი ალექსანდრე ჩივაძეს მოაქვს, თავს ზემოთ უპყრია, ორთავე ხელით ჩაუბღუჯავს, იცინის და იმ წუთს ისიც თასივით დიადია...

მიწაზე ფეხის დაკარება ვინ აცალა თბილისის "დინამოს" კაპიტანს, ხელში აიტაცეს და დიდხანს დაატარებდნენ "დინამო", "დინამო", "დინამოს" ძახილით. ბარე ათჯერ მაინც შემოატარეს საპატიო წრე. მერე ასობით ხელი წაეტანა თასს. იმ გულშემატკივრათაგან ათიოდე ბედნიერი აღმოჩნდა, მათ ძვირფასი მონაპოვარის გულში ჩახუტება და კოცნაც მოახერხეს.

თასმა რამდენიმე წუთით გულშემატკივართა თავებს ზემოთ იმოგზაურა, მერე ისევ პირველ მფლობელს, საშა ჩივაძეს დაუბრუნდა...

ჩივაძის შემდეგ დათო ყიფიანი და ვოვა გუცაევი მოიხელთეს - ჯერ ჰაერში აბურთავეს და ასე ხელში ატაცებული გააქანეს გასასვლელისკენ. მოულოდნელად დათომ ფეხზე ხელი წაივლო, ხალხს სთხოვა - ასე ნუ იზამთ, იარები მტკივა, მიწაზე დამიშვითო!

- დაუშვით, დაუშვით, არაფერი ატკინოთ! აჩოჩქოლდა ხალხი.

- როტერდამსა და დიუსელდორფს გადაურჩა და თბილისში კლავთ?! - ბრაზობს ჭაღარათმიანი მანდილოსანი.

როცა ფეხბურთლობი ავტობუსთან მიიყვანეს, მაშინღა გამახსენდა რისთვისაც ვიყავი მოსული, ვცადე კიდეც ინტერვიუ ამეღო, მაგრამ არაფერი გამომივიდა... ბლოკონტმომარჯვებული, ხელში აყვანილ გუცაევს ფეხდაფეხ მივდევდი და რაც ძალი და ღონე მქონდა ვყვიროდი:

- ვოვა, როგორ არის საქმე მანდ, ზევით, როგორ გრძნობ თავს?

ვოვაც მარჯვენა ხელის ცერს მაღლა წევდა და სიცილით მპასუხობდა.

- აი, ასე! მერე გულშემატკივრებმა ხვევნა-კოცნით კინაღამ გაგუდეს, დროზე გამოვგლიჯეთ ხელიდან და მოსაცდელ დარბაზში დავმალეთ. გულშემატკივართა გრძნობები იოლად როდი დაოკდა, მანამ არ დაშოშმინდნენ, სანამ ხუთჯერ მაინც არ გამოიხმეს სათითაოდ ყველა ფეხბურთელი და თასით ხელში კვლავ რამოდენიმე სპატიო წრე არ შემოატარეს აეროპორტის წინ.

"დინამოს" ავტობუსს უამრავი მანქანა მიაცილებდა დედაქალაქის ცენტრისკენ. დროშებს, ტრანსპარანტებს, ბაირაღებს ბოლო არ უჩანდა.

მერე ყველამ ერთად ჩართო მანქანის საყვირები და ისეთი ხმაური ატყდა, ვიფიქრე ალბათ მთელ საქართველოს ესმის მეთქი.

ევროპაში "მოტაცებულ პატარძალს" ღირსეულად მიაცილებდა ხალხმრავალი "მაყრიონი".

რეპორტაჟი მიჰყავდა თ. ჭეიშვილს.

უცხოელები აღიარებენ

რეიტერის სააგენტო: "განსაკუთრებით გამოვყოფთ დავით ყიფიანის ბრწყინვალე თამაშს. იგი იყო საბჭოთა გუნდის შეტევათა ნამდვილი ორგანიზატორი. მისი უზუსტესი პასები და ბურთის ბრწყინვალე ფლობა აღაფრთოვანებდა ყველას, ვინც კი ესწრებოდა თამაშს. სწორედ ყიფიანის უკიდურესად ზუსტი გადაცემის შემდეგ გაიტანა ვიტალი დარასელიამ გამარჯვების გოლი".

სააგენტო, აგრეთვე, გამოჰყოფს რამაზ შენგელიასა და ვლადიმერ გუცაევის შეთანხმებულ თამაშს, რომლებსაც უსიტყვოდაც ესმით ერთმანეთისა. დაცვაში კი აღნიშნავს ალექსანდრე ჩივაძეს.

ფრანს პრესის სააგენტო: "აღფრთოვანებას იწვევს დარასელიას მიერ გატანილი გოლი. ბურთის დამუშავებისას მან ბრწყინვალე ტექნიკა გამოავლინა". სააგენტო გამოჰყოფს სსრ კავშირის შარშანდელი საუკეთესო ფეხბურთელის ალექსანდრე ჩივაძის თამაშსაც, რომელმაც გადაკეტა თავისი საჯარიმო მოედნის ყველა მისადგომები.

ბონი. გფრ-ის გაზეთი **"გენერალ-ანცაიგერი"** წერს: "ორივე გუნდი საიერიშოდ იყო განწყობილი. გდრ-ის ფეხბურთელებმა პირველ ტაიმში მკაცრი, ძალისმიერი თამაში აჩვენეს და "დინამოს" საკმაო პრობლემები შეექმნა, მაგრამ ტაიმის დასასრულს თბილისელებს მეტი შანსი ჰქონდათ აეღოთ მეტოქის კარი და მხოლოდ მეკარე გრაპენტინის ბრწყინვალე თამაშმა გადაარჩინა იენელთა გუნდი.

"კარლ ცაისმა" გოლის გატანა შეძლო 63-ე წუთზე, მაგრამ ამას მოჰყვა "ცივი შხაპი" გდრ-ის გუნდისთვის. გუცაევმა გაქვითა ანგარიში, შემდეგ კი ვიხილეთ დარასელიას შესანიშნავი სოლური გარღვევა".

"რეინიშე პოსტი": "ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ გაშვებულმა გოლმა ძალები შემატა თბილისელთა კოლექტივს, რომელმაც გამარჯვებისადმი უდიდესი სწრაფვა გამოავლინა. თასი მიიღო გუნდმა, რომელიც ტექნიკურად უფრო სრულყოფილი იყო და გამოირჩეოდა ფეხბურთელთა მაღალი ინდივიდუალური ოსტატობით. მინდორზე ყველაზე უფრო გამოირჩეოდა ყიფიანი. მას "მუდმივ დარაჯად" მიამაგრეს კრაუზე, მაგრამ მან ვერ შეძლო ამ ბრწყინვალე ტექნიკოსისა და დისპეტჩერის ნეიტრალიზება. საინტერესოა, რომ სპეციალისტები ადრეც მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველ ფეხბურთელთა საშემსრულებლო ფანტაზიას და შემტევ თამაშს".

"ლელო", 17 მაისი, 1981 წ.